**ხელშეკრულება №90სბ**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**
**(გამარტივებული შესყიდვა)**
**(CPV 79530000)**

ერთი მხრივ, **სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი** (ს/კ 211358957), შემდგომში წოდებული **„შემსყიდველად“**, წარმოდგენილი გენერალური დირექტორის, **თეონა იაშვილის** სახით და მეორე მხრივ, **შპს „მულტილინგვისტი“** (ს/კ 406372811), შემდგომში წოდებული „**მიმწოდებლად“**, წარმოდგენილი დირექტორის, **ეკატერინე ოქროცვარიძის** სახით, ორივე ერთად წოდებული როგორც **„მხარეები“**, ვმოქმედებთ რა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:**

1.1. **„ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“** (შემდგომში „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. **„ხელშეკრულების ღირებულება“** – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. **„დღე“, „კვირა“, „თვე“** – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4. **„შემსყიდველი“ –** ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5. **„მიმწოდებელი“ –** პირი, რომელიც უწევს მომსახურებას შემსყიდველს ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. **„მომსახურება“ –** ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურება.

1.7. **„ინსპექტირება“** – ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი და ზედამხედველობა.

**2. ხელშეკრულების საგანი**
**მთარგმნელობითი მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა №1 დანართის შესაბამისად**
**(CPV 79530000)**

**3. ხელშეკრულების ღირებულება**

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **124.00 (ას ოცდაოთხი) ლარს, დღგ-ს გარეშე.**

3.2. ხელშეკრულების ღირებულება, მომსახურების ღირებულების გარდა, ასევე მოიცავს მიმწოდებლის მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის, შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ამ შემთხვევაშიც ფასის ცვლილება დასაშვებია არაუმეტეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ით.

**4. მხარეთა ვალდებულებები**

**4.1.მიმწოდებელი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და განიხილება მასთან ერთად;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**4.2.შემსყიდველი ვალდებულია:**

ა) უზრუნველყოს სათარგმნი მასალის გადაგზავნა ელექტრონული ფოსტის მისამართზე: multilinguist2022@gmail.com ხელშეკრულების გაფორმებიდან 1 (ერთი) სამუშაო დღის ვადაში;

ბ) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

გ) უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ინსპექტირება და დადებითი შეფასების შემთხვევაში მისი მიღება;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

**5. მომსახურების ხარისხი**

გაწეული მთარგმნელობითი მომსახურება უნდა აკმაყოფილებდეს წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ №1 დანართში აღნიშნულ მაჩვენებლებს და იყოს შესრულებული სათანადო ტერმინოლოგიის შესაბამისი ენობრივი სტანდარტებისა და ნორმების დაცვით, შინაარსობრივი, ორთოგრაფიული, გრამატიკული, სტილისტური და სინტაქსური გამართულობით.

## 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება გაწეული მომსახურების, ნათარგმნი მასალის მოწოდებისას.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს ეროვნული არქივის **კინოფოტოფონოდოკუმენტების ცენტრალური არქივის დირექტორი გიორგი კაკაბაძე ან მისი დროებით მოვალეობის შემსრულებელი.**

6.3. შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი. წუნის გამოვლენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის წერილობითი შეტყობინებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღეში გამოასწოროს წუნი.

## 7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

მომსახურების მიღება იწარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით ფაქტობრივად გაწეული მომსახურების შესაბამისად, წინამდებარე ხელშეკრულების 6.2 პუნქტით განსაზღვრული ინსპექტირების განმახორციელებელი პირის მიერ შედგენილი დადებითი ინსპექტირების დასკვნის საფუძველზე.

## 8. ანგარიშსწორება

8.1. **ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:**

ა) ანგარიშსწორების ვალუტა: ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად;

გ) **დაფინანსების წყარო: 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული ასიგნებები.**

8.2. შემსყიდველი იღებს ვალდებულებას, გადაუხადოს მიმწოდებელს ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.3.შემსყიდველი უფლებამოსილია, ხოლო მიმწოდებელი თანახმაა ხელშეკრულების პირობების დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს თანხა (ასეთის არსებობის შემთხვევაში), გამოქვითოს ყოველი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მიმწოდებელზე გადასარიცხი თანხიდან და გადარიცხოს მიმწოდებლის სახელით სახელმწიფო ხაზინის შესაბამის სახაზინო კოდზე.

## 9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, მიღებული აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

## 10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1.წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის დანართი №1-ით გათვალისწინებული მომსახურების მიწოდების ვადების ან/და პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.2. წინამდებარე ხელშეკრულების 8.2 პუნქტით განსაზღვრული ვადების ან/და პირობების დარღვევის შემთხვევაში, მიმწოდებელი უფლებამოსილია შემსყიდველს დააკისროს პირგასამტეხლო შესაბამისად ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0.02%-ის ოდენობით.

10.3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 3 (სამი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

10.4. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

## 11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

## 12. დავების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს.

## 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.
13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

## 14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 აგვისტოს ჩათვლით.

## 15. ფორსმაჟორი

15.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული მდგომარეობით.
15.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორსმაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინითა და სხვა.
15.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

## 16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე და ხელმოწერილია „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების მოთხოვნათა შესაბამისად.

## 17.მხარეთა რეკვიზიტები

**შემსყიდველი**

**სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი**
**მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1
**ტელეფონი:** 2 38 14 25
**საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა
**ბანკის კოდი:** TRESGE22
**ანგ. №**GE24NB0330100200165022
**ს/კ:** 211358957

**მიმწოდებელი**

**შპს „მულტილინგვისტი“**
**მისამართი:** ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №18
**ტელ.:** (+995) 595 59 05 04; 599 41 49 20
**ელფოსტა:** multilinguist2022@gmail.com
**საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი“
**ბანკის კოდი:** BAGAGE22
**ანგ. №**GE88BG0000000538013412
**ს/კ:** 406372811

Ekaterine Okrotsvaridze

Digitally signed by Ekaterine Okrotsvaridze
Date: 2023.06.02 11:48:43 +04'00'

**დანართი №1**

| **შესყიდვის ობიექტის დასახელება და ტექნიკური მახასიათებლები** | **შესყიდვის ობიექტის რაოდენობა და განზომილების ერთეული** | **შესყიდვის ობიექტის ერთ. (დღე) ღირებულება დღგ-ს გარეშე (ლარი)** | **შესყიდვის ობიექტის მთლიანი ღირებულება დღგ-ს გარეშე (ლარი)** | **CPV კოდი** | **შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები, ვადა და ადგილი** |
|---|---|---|---|---|---|
| **დოკუმენტის თარგმნა ინგლისური ენიდან ქართულ ენაზე, ნოტარიულად დამოწმებით**<br><br>დოკუმენტის ტიპი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება; გვერდი: 4; სიტყვა: 2011; სიმბოლო (დაუშორებლად): 10270; სიმბოლო (დაშორებიანად): 12622; აბზაცი: 132; სტრიქონი: 269. | 4 გვერდი | **31.00** | **124.00** | **79530000** | **მოწოდების ვადა:**<br>ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2 (ორი) სამუშაო დღე;<br>**მიწოდების პირობა და ადგილი:**<br>1) ვორდის დოკუმენტის ფორმატით ელფოსტის მისამართზე: ksadagishvili@archives.gov.ge და gkakabadze@archives.gov.ge;<br>2) მატერიალური სახით მისამართზე: ქ. თბილისი ვაჟა-ფშაველას გამზ. №1, სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივის ადმინისტრაციული შენობა. |

**სულ ღირებულება დღგ-ს გარეშე: 124.00 (ას ოცდაოთხი) ლარი.**

**შემსყიდველი**

**სსიპ - საქართველოს ეროვნული არქივი**
**მისამართი:** ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. №1
**ტელეფონი:** 2 38 14 25
**საბანკო რეკვიზიტები:** სახელმწიფო ხაზინა
**ბანკის კოდი:** TRESGE22
**ანგ. №**GE24NB0330100200165022
**ს/კ:** 211358957

**მიმწოდებელი**

**შპს „მულტილინგვისტი“**
**მისამართი:** ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. №18
**ტელ.:** (+995) 595 59 05 04; 599 41 49 20
**ელფოსტა:** multilinguist2022@gmail.com
**საბანკო რეკვიზიტები:** სს „საქართველოს ბანკი“
**ბანკის კოდი:** BAGAGE22
**ანგ. №**GE88BG0000000538013412
**ს/კ:** 406372811

Ekaterine Okrotsvaridze

Digitally signed by Ekaterine Okrotsvaridze
Date: 2023.06.02 11:49:26 +04'00'